შემოსავლების სამსახური

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო

მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი

სსიპ - შემოსავლების სამსახურსა და სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნულ სააგენტოს შორის თანამშრომლობის შესახებ

ქ. თბილისი **„7" „სექტემბერი" 2022 წ.**

ერთი მხრივ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახური (შემდგომში - „შემოსავლების სამსახური"), წარმოდგენილი მისი უფროსის - **ლევან კაკავას** სახით და მეორე მხრივ, სსიპ საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო (შემდგომში - „სააგენტო"), წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის - **ირაკლი ლექვინაძის** სახით (შემდგომში ერთობლივად წოდებულნი - „მხარეებად"), საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე მემორანდუმს თანამშრომლობის შესახებ (შემდგომში - მემორანდუმი):

1. განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც სააგენტო ვერ ახერხებს წერილობითი კორესპონდენციის ადრესატისათვის ჩაბარებას, შემოსავლების სამსახური უზრუნველყოფს აღნიშნული კორესპონდენციის ადრესატისათვის გაგზავნას გადასახადის გადამხდელის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდის მეშვეობით.
2. წერილობითი კორესპონდენციისა და დანართების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადრესატისათვის ჩაბარების მიზნით, სააგენტო შემოსავლების სამსახურს უგზავნის შესაბამის თხოვნას ელექტრონულად, შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე: rs_gnca@rs.ge
3. შემოსავლების სამსახური მე-2 პუნქტში აღნიშნული დოკუმენტაციის ადრესატისათვის გაგზავნას ახორციელებს სააგენტოსგან შესაბამისი ელექტრონული ფოსტის მიღებიდან არაუგვიანეს მე-2 სამუშაო დღისა.
4. გადასახადის გადამხდელის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდის მეშვეობით ადრესატისათვის გაგზავნილ დოკუმენტაციას ენიჭება „სავალდებულოდ წასაკითხი" სტატუსი.
5. შემოსავლების სამსახური სააგენტოს 2 სამუშაო დღის ვადაში აწვდის ინფორმაციას ადრესატის მხრიდან დოკუმენტის გახსნის/ჩაბარების შესახებ შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: gnca_rs@gnca.gov.ge
6. მხარეებმა შესაძლებელია გამოყონ შესაბამისი უფლებამოსილი პირები, მემორანდუმით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით დროული და ეფექტიანი კომუნიკაციისათვის.

7. შემოსავლების სამსახური უზრუნველყოფს მიწოდებული ინფორმაციის/დოკუმენტაციის კონფიდენციალურობის დაცვას და მას გამოიყენებს მხოლოდ ადრესატისათვის გაგზავნის მიზნით.

8. მხარეები თანხმდებიან, რომ გარკვეული პერიოდის შემდეგ, სააგენტოს შესაძლებელია მიეცეს შესაბამისი დაშვება, რათა მან თავად უზრუნველყოს გადასახადის გადამხდელის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდის მეშვეობით ადრესატისათვის დოკუმენტაციის გაგზავნა და ქონდეს წვდომა ადრესატის მხრიდან დოკუმენტის გახსნის შესახებ ინფორმაციაზე.

9. წინამდებარე მემორანდუმი იდება განუსაზღვრელი ვადით და ძალაში შედის მისი ხელმოწერის თარიღიდან.

10. მემორანდუმის მოქმედების შეწყვეტა შესაძლებელია მხარის მიერ მეორე მხარისათვის 2 (ორი) თვით ადრე წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით.

11. მემორანდუმში ცვლილებების შეტანა ხორციელდება წერილობითი ფორმით, მხარეთა ერთობლივი შეთანხმების საფუძველზე.

12. მემორანდუმის რომელიმე პუნქტის ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად მემორანდუმის ბათილობას, თუ იგი დაიდებოდა ასეთი ბათილი პუნქტის გარეშეც.

13. მემორანდუმით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

14. მემორანდუმი ხელმოწერილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთაგანაც თითოეული გადაეცემა მხარეებს.

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს სახელით

ირაკლი ლექვინაძე

თავმჯდომარე

შემოსავლების სამსახურის სახელით

ლევან კაკავა

სამსახურის უფროსი